# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 28

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

27 მაისი, 2014 წელი

ქ. საჩხერე

ერთის მხრივ, არასამეწარმეო იურიდიული პირის „ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ დირექტორის მარიამ გოგობერიშვილის სახით, (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს „ამერაუდიტ 2008“ დირექტორის დეზდემონ მაღლაკელიძის სახით (შემდგომში „შემსრულებელი“) ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## ხელშეკრულების საგანი

1.1 აუდიტი უზრუნველყოფს 2013 წლის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობისა და საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტორულ შემოწმებას, მისცემს საჭირო კონსულტაციებს აღრიცხვა-ანგარიშგების მოსაწესრიგებლად. საჭიროების შემთხვევაში გაუწევს პრაქტიკულ დახმარებას.
1.2 აუდიტორულ შემოწმებას უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ სერთიფიცირებული აუდიტორის და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტების მეშვეობით.
1.3 მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება არაუგვიანეს 2014 წლის 10 ივნისამდე.

## 2. მხარეთა უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

2.1 „შემსრულებლის“ ქონებრივი პასუხისმგებლობის მოცულობა არ შეიძლება აღემატებოდეს კანონმდებლობით დაწესებულ ოდენობას.
2.2 „დაკვეთს“ ეკისრება პასუხისმგებლობა აუდიტორისათვის წარმოდგენილი მასალების სისწორეზე.

## 3. მომსახურების ღირებულება, ანგარიშსწორების წესი და პირობები

3.1 აუდიტორული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 2 500 (ორიათას ხუთასი) ლარით.
3.2 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან, ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ აღემატება „შემსრულებლის“ ლიცენზიის მოქმედების ვადას.

3.3 აუდიტორული მომსახურების ღირებულება გადაიხდება სამუშაოს დასრულების შემდეგ არაუგვიანეს დამთავრებიდან მესამე დღისა.

3.4 ხელშეკრულების რომელიმე მუხლი, ისევე როგორც მთლიანად ხელშეკრულება, შეიძლება დაირღვეს ან შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. ხელშეკრულების ცვლილება ფორმდება წერილობით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლო წესით.

3.5 ხელშეკრულება ირღვევა და ხდება მისი დროებითი შეჩერება ფორსმაჟორული მდგომარეობის დროს (საზოგადოებრივი უწესრიგობა, სახელმწიფო მართვის ორგანოების აქტები და სხვა ექსტრემალური პირობები).

## 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2014 წლის 5 ივლისამდე.

## 5. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| --- | --- |
| ა.ი.პ „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი„ | შპს „ამერაუდიტი 2008" |
| მისამართი: საჩხერე, თავისუფლების ქ№4 | მისამართი: ქ. ქუთაისი, დ. აღმაშენებლის პრ.125/57 |
| საბანკო რეკვიზიტები: | საბანკო რეკვიზიტები: |
| ს.ს საქართველოს „ლიბერთი ბანკის" | სს „პროკრედიტ ბანკის" |
| საჩხერის ფილიალი | ქუთაისის ფილიალი |
| ბანკის კოდი: 220101467 | ბანკის კოდი: MIBGG22 |
| საიდენტიფიკაციო №239396346 | საიდენტიფიკაციო №212913481 |
| ა/ა GE02LB0115124621690000 | ა/ა GE79PC0013600100034004 |

არასამეწარმეო იურიდიული პირი
„საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის"
დირექტორი: მ. ჭიჭინაბერიშვილი

შპს „ამერაუდიტ 2008"-ის
დირექტორი: დ. მაღლაკელიძე